# Batumi District in the First World War (1914-1918)

## ბათუმის ოლქი პირველ მსოფლიო ომში (1914 – 1918 წლები)

**OTAR GOGOLISHVILI**

Professor Department of history, archeology and ethnology
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Ninoshvili str. 32/35
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com, 593 61 78 95

**Abstract**

World War I consumed enormous material resources along with millions of lives. Russia's poorly developed economy and incompetent state administratiun could not ensure the needs of the war. The rapid economic collapse began in the country. That was especially evident in the peripheries, including the Batumi district, which became the arena of hostilities.

The war heavily burdened the industrial and economic life of Batumi and the district in general. Most of the enterprises related to oil export were closed. The copper industry (Artvini district) based on the latest advances in technology was seriously damaged, the exploration-geological works in the valleys of the Chorokhi and Acharistskali rivers were suspended, and thousands of people remained unemployed and deprived of their means of living.

The situation in rural areas was even worse. Thousands of hectares of crops, fruit trees, and grain (corn, barley, wheat) areas were burned and destroyed. The same fate happened to tobacco and beekeeping. The leading and traditional branch of agriculture - animal husbandry - was significantly affected.

**Key words:** War, Material resources, Incompetent state administration, villag

**ოთარ გოგოლიშვილი**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის
დეპარტამენტის პროფესორი
ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com, 593 61 78 95

**აბსტრაქტი**

პირველმა მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლესთან ერთად შთანთქა უზარმაზარი მატერიალური რესურსები. რუსეთის სუსტად განვითარებულმა მეურნეობამ და უუნარო სახელმწიფო აპარატმა ვერ უზრუნველყო ომის საჭიროებანი. ქვეყანაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო ნგრევა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა განაპირა რაიონებში, მათ შორის ბათუმის ოლქშიც, რომელიც საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცა.

ომი მძიმე ტვირთად დააწვა ბათუმის და საერთოდ, ოლქის სამრეწველო ეკონომიკურ ცხოვრებას. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა. სერიოზულად დაზიანდა ტექნიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სპილენძის მრეწველობა (ართვინის ოკრუგი), შეწყდა მდ.ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობებში მიმდინარე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები, დაუსაქმებელი და ცხოვრების სახსარმოკლებული დარჩა ათასობით ადამიანი.

კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა სოფლად. გადაიწვა და განადგურდა ათასობით ჰექტარი სავარგული, ხეხილისა და მარცვლეულის (სიმინდი, ქერი, ხორბალი) ფართობები. იგივე ბედი ეწია მეთამბაქოეობას და მეფუტკრეობას. საგრძნობლად დაზარალდა სოფლის მეურნეობის წამყვანი და ტრადიციული დარგი – მეცხოველეობა.

**საკვანძო სიტყვები:** ომი, მატერიალური რესურსები, უუნარო სახელმწიფო ადმინისტრაცია, სოფელი

**შესავალი**

პირველი მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და დამანგრეველი კონფლიქტი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლესთან ერთად უზარმაზარი მატერიალური რესურსები შთანთქა. აღნიშნულმა პროცესებმა განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა რუსეთის იმპერიას, რომლის სუსტად განვითარებულმა მეურნეობამ და უუნარო სახელმწიფო აპარატმა ვერ უზრუნველყო ომის მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილება. ქვეყანაში დაწყებული სწრაფი სამეურნეო ნგრევა ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა მის განაპირა რეგიონებში, მათ შორის ბათუმის ოლქში, რომელიც უშუალოდ იქცა საომარი მოქმედებების ასპარეზად. ომმა ფუნდამენტურად შეცვალა ოლქის ინდუსტრიული და ეკონომიკური რიტმი, მძიმე ტვირთად დააწვა რა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობას.

ბათუმის ოლქის სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი გარდაქმნა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად, სადაც დაფუძნდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ესკადრა. ქალაქი იქცა კავკასიის ფრონტის ტრაპიზონის მიმართულების მასაზრდოებელ კვანძად, რამაც ერთი მხრივ გაზარდა მისი სამხედრო მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ — სრულად მოშალა მშვიდობიანი ინდუსტრიული ცხოვრება. ომის პირველსავე წელს დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა, შეწყდა ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება, რის გამოც ბათუმმა, როგორც ნავთობის ექსპორტის მსხვილმა ცენტრმა, ყოველდღიურად დაიწყო სამრეწველო

ღირებულების დაკარგვა. პარალელურად, სერიოზულად დაზიანდა ართვინის ოკრუგის სპილენძის მრეწველობა და შეწყდა გეოლოგიური სამუშაოები მდინარეების — ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში.

ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო სოფლად. საომარმა მოქმედებებმა გაანადგურა ათასობით ჰექტარი სავარგული, ხეხილის ბაღები და მარცვლეული კულტურები. განადგურდა ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა და მეფუტკრეობა. ამას დაემატა რუსეთთან სატრანსპორტო ურთიერთობის მოშლა და სარკინიგზო ტრანსპორტის სრული დაქვემდებარება სამხედრო უწყებისადმი, რამაც შეუძლებელი გახადა მოსახლეობისა და არმიის საჭიროებათა ერთდროული დაკმაყოფილება. 1915 წლიდან ვითარება კატასტროფული გახდა: პირველადი მოთხოვნილების საგნებზე ფასებმა ომამდელ დონეს საშუალოდ 300%-ით გადააჭარბა, რასაც მოჰყვა ხელოვნური დეფიციტი და სპეკულაციის ზრდა.

სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა ლტოლვილთა ნაკადმა. ბათუმს მოაწყდნენ ოსმალეთიდან გამოქცეული სომეხი და ბერძენი ხიზნები, ხოლო თავად ოლქი სანახევროდ დაიცალა ადგილობრივი მკვიდრთაგან, რომლებიც ან საქართველოს სხვა რაიონებს აფარებდნენ თავს, ან მტრის მიერ იძულებით იყვნენ გადასახლებულნი ოსმალეთში. რუსი ჯარისკაცების მხრიდან განხორციელებულმა რეპრესიებმა და ძარცვა-გლეჯამ აჭარის სოფლები გააუკაცრიელა. ამ უმძიმეს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სრულიად საქართველოს მხარდაჭერამ. ჰაიდარ აბაშიძის, მემედ აბაშიძისა და სხვა მოღვაწეების ძალისხმევით, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად საკუთარი სიდუხჭირისა, შეძლო მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა მუსლიმი ძმებისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია საარქივო მასალებზე და იმდროინდელ პრესაზე დაყრდნობით წარმოაჩინოს ის აუტანელი სიტუაცია, რომელიც ბათუმის ოლქის მოსახლეობას თავს დაატყდა. ნაშრომში განხილულია მრეწველობის პროფილის შეცვლა სამხედრო დაკვეთების სასარგებლოდ, სასურსათო კრიზისით გამოწვეული სტიქიური გამოსვლები და ის დემოგრაფიული კატასტროფა, რომელიც ომმა რეგიონში გამოიწვია. ანალიზის მეთოდის გამოყენებით, სტატია აჯამებს იმპერიული ხელისუფლების უუნარობას, ეფექტურად ებრძოლა სიძვირისა და შიმშილის წინააღმდეგ, რამაც საბოლოოდ საფუძველი მოუმზადა რევოლუციურ განწყობებსა და სოციალურ აფეთქებებს რეგიონში.

**მეთოდები:**

თემაზე მუშაობისას უპირველეს ყოვლისა გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად მიმაჩნია კონკრეტული საკითხის განხილვის დროს,

**შედეგები:**

წარმოდგენილი სტატიიდან მკითხველი საზოგადოება გაეცნობა იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის დროს, აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას გამოვიღენეთ ბევრი საარქივო მასალა, იმდროინდელ

პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, რომელიც ხატავენ იმ აუტანელ სიტუაციას, რომელიც თავს დაატყდა ბათუმის ოლქის მოსახლეობას.

**მსჯელობა**

პირველმა მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლესთან ერთად შთანთქა უზარმაზარი მატერიალური რესურსები. რუსეთის სუსტად განვითარებულმა მეურნეობამ და უუნარო სახელმწიფო აპარატმა ვერ უზრუნველყო ომის საჭიროებანი. ქვეყანაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო ნგრევა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა განაპირა რაიონებში, მათ შორის ბათუმის ოლქშიც, რომელიც საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცა.

ომი მძიმე ტვირთად დააწვა ბათუმის და საერთოდ, ოლქის სამრეწველო ეკონომიკურ ცხოვრებას. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა. სერიოზულად დაზიანდა ტექნიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სპილენძის მრეწველობა (ართვინის ოკრუგი), შეწყდა მდ.ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობებში მიმდინარე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები, დაუსაქმებელი და ცხოვრების სახსარმოკლებული დარჩა ათასობით ადამიანი.

კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა სოფლად. გადაიწვა და განადგურდა ათასობით ჰექტარი სავარგული, ხეხილისა და მარცვლეულის (სიმინდი, ქერი, ხორბალი) ფართობები. იგივე ბედი ეწია მეთამბაქოეობას და მეფუტკრეობას. საგრძნობლად დაზარალდა სოფლის მეურნეობის წამყვანი და ტრადიციული დარგი- მეცხოველეობა.

ომმა მოშალა რუსეთთან სატრანსპორტო ურთიერთობა. მეტად სახიფათო გახდა საზღვაო მიმოსვლა, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტი ფაქტობრივად დაექვემდებარა სამხედრო უწყებას. ამიტომ გაძნელდა არმიისა და მოსახლეობის საჭიროებათა ერთდროულად დაკმაყოფილება **(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 131, აღწერა 1, საქმე 201, ფურცელი 67).**

მოიშალა ადრე კარგად ორგანიზებული საშინაო ვაჭრობაც, დაეცა ფულის კურსი და ფასებმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე ომამდელ დონეს, საშუალოდ 300%-ით გადააჭარბა.

მზარდი სიძვირისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი სოციალური გართულებების თავიდან ასაცილებლად კავკასიის ხელისუფლება მთელი 1915 წლის განმავლობაში, ამიერკავკასიის ქალაქისთავებისა და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით, თათბირებს თათბირებზე იწვევდა. მიიღეს რიგი გადაწყვეტილებები სიძვირისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, დაწესდა ნომინირებული ფასები პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, მაგრამ ვაჭრებმა ბოიკოტს მიმართეს და ხელოვნურად შეაჩერეს რუსეთში შესყიდული სურსათ-სანოვაგის შემოტანა. მართალია, პოლიციამ გამოავლინა სპეკულაციაში ჩაბმული კერძო პირები და ბანკებიც, მაგრამ მათგან ბევრს ჰყავდა საიმედო მფარველები და ამდენად, ხელოვნური სიძვირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ეფექტური შედეგები არ ჰქონია **(სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:368).**

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 1916 წლიდან. ბათუმში შემოტანილი სურსათის ისედაც მწირი რაოდენობიდან უნდა მოემარაგებინათ ასევე ტრაპიზონის ფრონტი და ამ მიმართულებით საავტომობილო გზებისა და რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმებული ათასობით მუშახელი. საყოველთაო სიძვირის პირობებში კი ხელფასები უმნიშვნელოდ გაიზარდა. მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების გამოვლენის ცალკეული ფაქტები უკვე სახეზე იყო.

ამგვარი ხასიათის ყველაზე მრავალრიცხოვან და თან სტიქიურ გამოსვლას ბათუმში ადგილი ჰქონდა 1916 წლის 7 აგვისტოს. მასში უმთავრესად მონაწილეობდნენ ქალები, რომელთაც დაარბიეს ნურიის ბაზარი, სარძევე დუქნები და ზოგიერთი მაღაზია. წესრიგის აღსადგენად გამოყვანილ პოლიციელებს დაუშინეს ქვები და დააზიანეს რამდენიმე მათგანი. მართალია, საქმე იარაღის გამოყენებამდე არ მისულა, მაგრამ მხოლოდ დღის ბოლოს გახდა შესაძლებელი გამოსვლის აღკვეთა. დააპატიმრეს 24 ქალი და 7 მამაკაცი, მაგრამ ისინი პასუხისგებაშიც არ მიუციათ: ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა, ქალაქში „ახალი უწესრიგობების“ თავიდან აცილების მიზნით, ამაზე თვითონ იშუამდგომლა მეფისნაცვალთან **(აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 128, აღწერა 1, საქმე 123, ფურცელი 23-28).**

მსოფლიო ომმა გამანადგურებელი გავლენა მოახდინა ბათუმის მრეწველობაზე. საწარმოთა დიდმა ნაწილმა ომის პირველსავე წელს შეწყვიტა მუშაობა. დაიხურა მომთუთიებელი, ქიმიური, ყუთების დამამზადებელი და სხვა ქარხნები.

საქონლის ტრანზიტი თითქმის შეწყდა. გაზეთი „ახალი აზრი“ წერდა: „ბათუმი ომის გამოცხადების შემდეგ მთლიანად სასაფლაოს დაემსგავსა; შეწყდა მისი ყოველგვარი წარმოებისა და აღებ მიცემობის ძარღვი“.

სოფლის მეურნეობის დაცემამ გაამწვავა ქალაქის სურსათით უზრუნველყოფა. შემოტანილი სასურსათო პროდუქტები ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებში რუსეთში თითქმის 50%–ით შემცირდა ნათესების რაოდენობა, რუსეთის მთავრობას მაინც არ შეუწყვეტია პურის ექსპორტი საზღვარგარეთ. სასურსათო კრიზისმა განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი 1915 წელს, რამაც სამრეწველო ქალაქებში სტიქიური მღელვარება გამოიწვია. 1916 წლის მეორე ნახევარში სასურსათო კრიზისმა მთელი საქართველო მოიცვა. იქმნებოდა სასურსათო ბიუროები, მაგრამ მდგომარეობა მაინც უცვლელი რჩებოდა. გახშირდა საქონლის სპეკულაცია, სახელმწიფო პურის მარაგი დღითი დღე მცირდებოდა.

სასურსათო კრიზისის ეს პერიოდი განსაკუთრებით მძიმე იყო ბათუმისთვის. მოსახლეობის სურსათით მომარაგების მინიმუმამდე შემცირებას თან ერთვოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოთა დახურვით გამოწვეული მასობრივი უმუშევრობა. ქალაქის მოსახლეობისთვის სურსათის შესყიდვის საქმის ადგილობრივი თვითმართველობის ხელში გადასვლამ თითქოს შექმნა ერთგვარი პირობა კრიზისისაგან თავის დასაღწევად, მაგრამ ნათესების შემცირებითა და მოუსავლიანობით გაჩანაგებულ გლეხობას არავითარი პროდუქტი არ გააჩნდა ქალაქის ბაზრებზე გასატანად.

1916 წელს ბათუმში შეიქმნა სამომხმარებლო საზოგადოება, რომელმაც ქალაქში სასურსათო პროდუქტების რამდენიმე მაღაზია გახსნა. საზოგადოება 1917 წლის დასაწყისისათვის 4000–მდე წევრს აერთიანებდა. მოკლე დროის მანძილზე სავაჭრო ქსელის ასეთი ზრდის მიუხედავად, საზოგადოება ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით ვერ ახერხებდა პროდუქტებზე არსებული მოთხოვნილების მინიმუმის

დაკმაყოფილებასაც კი. 1917 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში პრესა შეშფოთებული იყო სასურსათო კრიზისით გამოწვეული მოსალოდნელი შიმშილობის გამო. ქალაქში თეთრი პური აღარ ცხვებოდა. პურის მაღაზიებთან ჩნდებოდა გრძელი რიგები შავი პურისათვის. მაგრამ მალე შავი პურის ფქვილის მარაგიც გამოილია. 19 თებერვალს პურის ცხობა დაიწყო ქალაქის ფურნემ (ნურიის ბაზარში), რომელიც დღეში 340 ფუთ პურს აცხობდა, რაც, შეიძლება ითქვას, წვეთი იყო ზღვაში. გახშირდა ძარცვა-გლეჯა. ღამით შეუძლებელი იყო ქალაქში გასვლა. სასურსათო პროდუქტებზე ფასების ყოველდღიური აწევის მიუხედავად, მუშათა ხელფასი კვლავ დაბალი იყო. მაგალითად, პიტოევის ქარხანაში, სადაც 1916 წელს, 2000 მუშა მუშაობდა, „უმეტესობა ქალები“, კატორღული რეჟიმი იყო გაბატონებული. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10–12 საათით განისაზღვრებოდა, მუშებს უქმე დღეებშიაც ამუშავებდნენ, ხელფასი კი მეტისმეტად მცირე იყო. ქალაქის ხელისუფლებამ სასურსათო და სამრეწველო კრიზისისაგან თავის დასაღწევად ერთგვარი რადიკალური ღონისძიების გატარება სცადა. 1917 წლის იანვარში გამოქვეყნდა ქალაქის კომენდანტის ბრძანება, რომლითაც ომის დაწყების შემდეგ შემოხიზნულებს, რომლებმაც ვერავითარი სამსახური ვერ იშოვეს, წინადადება ეძლეოდათ სამი კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ ბათუმი. ეს ბრძანება ვრცელდებოდა ომის დაწყების შემდეგ ქალაქის საწარმოებში ჩაბმული მუშების ოჯახის წევრებისა და საწარმოთა დახურვის შედეგად უმუშევრად დარჩენილების მიმართაც **(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 131, აღწერა 1, საქმე 201, ფურც. 90-100).**

1917 წელს, წარმოების შემცირების გამო, იშვიათი აღარ იყო მუშების ყოველდღიური დათხოვნა საწარმოებიდან. უმუშევრად დარჩენილ მუშებს, ზემოთ მოყვანილი ბრძანების თანახმად ეკრძალებოდათ ქალაქში ცხოვრება. ბათუმი თანდათან კარგავდა თავის ძველ სახელს. იგი უკვე აღარ ჰგავდა 900-იანი წლების ბათუმს.

მძიმე იყო რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების პირობებიც. კავკასიის ფრონტის საჭიროებისათვის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს 1914 წლის ბოლოს ხელფასის ნაწილი დაუკავეს. მუშები წერილობით პროტესტს აცხადებდნენ ისედაც მცირე ხელფასის შემცირებისათვის. მომდევნო წლებში რკინიგზის მუშათა მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. გზათა სამმართველოს 1915 წლის №7498/76 ბრძანების თანახმად, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები იხიზნებოდნენ ქალაქიდან. გახიზნულების ოჯახებისათვის უნდა მიეცათ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზევით ანაზღაურება (ხელფასის 50 პროცენტი), მაგრამ აღნიშნული ბრძანება ცირკულარულ განკარგულებად

1915 წელს მთელს ამიერკავკასიაში და ბათუმში ვრცელდებოდა პროკლამაცია, სათაურით „ამხანაგო მუშებო“, რომელშიც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია მშრომელ მასებს მოუწოდებდა გაეგრძელებინათ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, ომისა, რომელიც გამიზნული იყო ახალი კოლონიების დაპყრობისა და ძარცვისათვის.

ომმა გააჩანაგა ქვეყანა. 1916 წელს მკვეთრად დაეცა ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება. ბათუმი, როგორც რუსეთის ნავთის ექსპორტის მსხვილი ცენტრი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ყოველდღიურად კარგავდა სამრეწველო ღირებულებას. იხურებოდა ნავთის ჩამომსხმელი და ყუთების დამამზადებელი ქარხნები. დღითი დღე უარესდებოდა მუშების მდგომარეობა.

რსდმპ კავკასიის ბიურომ 1916 წელს (საპირველმაისოდ) გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც მხილებული იყო იმპერიალისტების მიზნები და მისწრაფებანი იმპერიალისტურ ომებში. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს ბურჟუაზიის წინაშე ბრძოლისაკენ – ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ. პროკლამაცია სწრაფად ვრცელდებოდა მთელს საქართველოში. ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში უდგებოდნენ მუშათა მასიურ გაფიცვას. 1916 წლის ივნისის თვეში გაიფიცნენ ბათუმის საწარმოთა მუშები. პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების ყოველდღიური ზრდის პროტესტის ნიშნად დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი 1916 წლის ივლისში. მღელვარებანი გრძელდებოდა აგვისტოს თვეშიც. 8 აგვისტოს დარბეული იქნა 23 სავაჭრო. გაფიცვას ხელს უწყობდნენ და აშკარად თანაუგრძნობდნენ ბათუმში მყოფი სალაშქრო რაზმებისა და პლასტუნთა ნაწილების ჯარისკაცები. აღნიშნული მდგომარეობის შედეგად ბათუმის ოლქის დროებითი გენერალ-გუბერნატორი და მიხაილოვის ციხე-სიმაგრის კომენდანტი ბარანოვიჩი მეფისნაცვლის თანაშემწეს ორლოვს წერდა: „დღეს დილით ბრბოს მიერ, რომელიც უმთავრესად ქალებისაგან შედგებოდა, სალაშქრო რაზმების ზოგიერთ ჯარისკაცთა პასიური მონაწილეობით... ქალაქის სხვადასხვა ნაწილში იყო ცდები მოეწყოთ წესრიგის დარღვევა. მიღებულია ენერგიული ზომები... პოლიციისა და ჯარის ნაწილების განწესებანი რჩებიან ადგილებზე ახალი გამოსავლების შესაძლებლობის გამო“.

გაფიცვები და მღელვარებანი გრძელდებოდა მომდევნო ნოემბერ-დეკემბრის თვეებშიც. 1917 წლის დასაწყისში ბათუმის სურსათით მომარაგება მთლიანად შეწყდა. ქალაქში პური აღარ ცხვებოდა **(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 131, აღწერა 1, საქმე 201, ფურც. 130-137).**

უნდა ითქვას, რომ სტიქიურმა „ ბუნტებმა “ ომის დროს მთელ რუსეთს გადაუარა, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ენერგიულ რევოლუციურ ღონისძიებას. პირიქით, ასეთი არეულობის დროს ნადგურდებოდა ისედაც მცირე მარაგი თუ მატერიალური ფასეულობანი. ფეხს იკიდებდა მასობრივი უკმაყოფილება, რაც შემდგომში კარგად გამოიყენეს პოლიტიკურმა პარტიებმა. ამასთან, ეს „სასურსათო ბუნტები“ იყო ობიექტური შედეგი იმ მზარდი სიძნელეებისა, რომლებიც მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნგრევამ წარმოშვა და მოწმობდა იმპერიული ხელისუფლების კრიზისს, მის უუნარობას მდგომარეობიდან რეალური გამოსვლის ძიებაში.

კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ ბათუმი გადაიქცა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად. აქ დაფუძნდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ესკადრა. ბათუმი იყო კავკასიის ფრონტის ტრაპიზონის მიმართულების მასაზრდოებელი კვანძი, სადაც განთავსდა დიდი სამხედრო საწყობები და ჰოსპიტლები.

მსოფლიო ომში მოუმზადებლად ჩაბმული რუსეთის სამხედრო მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა არმიის მოთხოვნილებებს იარაღსა და საჭურველზე. ამიტომ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო დაკვეთები მიეცა კერძო მეწარმეებისათვისაც. შექმნილ ვითარებაში ფრონტისპირა ბათუმი, თავისი ტექნიკურად შედარებით კარგად აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნებით, გახდა სამხედრო წარმოების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ბაზა, სადაც სამხედრო დაკვეთების ღირებულებამ 1916 წ. გაზაფხულისთვის გადააჭარბა 6.9 მლნ რუბლს, რაც მთელ ამიერკავკასიაში ყველა სამხედრო დაკვეთის 29,6 %-ს შეადგენდა.

ბათუმში ყველაზე მსხვილი სამხედრო საწარმო გახსნა საქმოსანმა გ.პიტოევმა. მან იმპერიის ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისგან მიიღო ხელყუმბარების

დიდი პარტიის (3 მილიონი ერთეული) დამზადების დაკვეთა. 1915 წლის დამლევს მან იჯარით აიღო ბნიტოს (ყოფილი როტშილდის), არვანიტიდისა და ხაჩატრიანცის ქარხნები, აღჭურვა ხელყუმბარების დამზადებისთვის საჭირო ტექნიკით და 1916 წ. 1 თებერვალს აამუშავა კიდეც. წლის ბოლოსთვის ქარხანაში დამზადდა 1 მილიონი ცალი ხელყუმბარა. მათ შორის საკმაოდ იყო წუნდებული ნაწარმიც. ამასობაში შიდა რუსეთში ამუშავდა ხელყუმბარების ბევრად უფრო სრულყოფილი ქარხანა. ამიტომ 1917 წლისთვის პიტოევს შეუკვეთეს ნაღმის სატყორცნი დანადგარების დამზადება. მეწარმე შეუდგა მათ გამოშვებასაც, მაგრამ ნედლეულით მომარაგებაში არსებული სირთულეების გამო ახალი სახეობის სამხედრო საჭურველი ვერ აითვისეს და 1917 წლის გაზაფხულზე საწარმო დაიხურა **(სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:371).**

ბათუმში სამხედრო უწყების დაკვეთებს ასრულებდა აგრეთვე „შეკენგოვსკის და კომპანიის“ სააქციო საზოგადოების მოსათუთიებელი ქარხანა, ვ.კაპლანის მექანიკური ქარხანა, რომელმაც 1916 წ. შემოდგომამდე 2 ათასი ცალი ნაღმი დაამზადა და სხვა.

ამრიგად, ომის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო ნგრევის მიუხედავად, ბათუმის მრეწველობა არ ჩამკვდარა. მან პროფილი შეიცვალა და სამხედრო წარმოების გზას დაადგა. ამასთან, ომის დროინდელი ბათუმი განაგრძობდა ბურჟუაზიული ქალაქისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას, ოღონდ შეზღუდული რიტმით. 1916 წელს აქ მოქმედებდა 22 სასტუმრო, 29 რესტორანი და სასადილო, 86 პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 4 ძეხვეულის საამქრო, თამბაქოს 2 ფაბრიკა და რამდენიმე კარგად გამართული ტიპოგრაფიული საწარმო, ერთი კანფეტის ფაბრიკა; აგრეთვე 99 დუქანი, რომელთაგან თერთმეტს ჰქონდა ღამის გასათევიც. ქალაქში კვლავ მუშაობდა 2 ბაზარი.

ომებს თან სდევდა მკვიდრი საცხოვრისიდან ადამიანთა იძულებით აყრა და მასობრივი გადასახლება. მსგავს მოვლენებს ომის დროს ბათუმის ოლქშიც რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი და ამან მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა რეგიონის ცხოვრებაზე.

ლტოლვილთა პირველი ტალღა ბათუმს მოაწყდა კავკასიის ფრონტზე საომარ მოქმედებათა გაჩაღებისთანავე. ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხ და ბერძენ ხიზანთა მრავალათასიანი მასა მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც რთულ სოციალურ პირობებში ჩავარდნილ ქალაქს. თავის მხრივ, ბათუმი და მისი ოლქი სანახევროდ დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ოსმალთა დროებითი წარმატებით შეშინებულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი, ხოლო მეორე, მკვიდრი ნაწილი კი მოწინააღმდეგემ 1915 წლის თებერვალ-მარტში, უკან დახევის დროს, იძულებით წაიყვანა ოსმალეთში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრონტისპირა რაიონები: გონიოს უბანი, ლაზეთი, ართვინი-არტანუჯის მხარე, მაჭახლის ხეობა და მდინარე აჭარისწყლის ქვემო წელის სოფლები. ამის თვითმხილველი მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე, აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალათ აქაური სოფლები, შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა - ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავის მხეცობით, შეუბრალებლობით და მძარცველობით. „ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბრად დატოვებული სოფლები... არავითარი ჭაჭანება

ადამიანისა, ეგერ აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ყმუილი, საზარელი, გულისმომკვლელი.“

რუსეთის ჯარისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობამ მიატოვა სახლ-კარი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო თემი), საიდანაც 7 ათასამდე სული გადაიხვეწა, მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ საომარი მოქმედებების შედეგად, ხოლო შემდეგ რუსთა ჯარებისაგან. სოფელ ქედქედში – 20 კომლიდან 2, სოფელ მაღლაკონში – 10-დან 8, სოფელ უჩხითში - 50-დან 9, სოფელ კირნათში - 47–დან 7 და ა.შ. სულ 196, გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი **(აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 128, აღწერა 1, საქმე 123, ფურცელი 111-115).**

ბათუმის ოლქიდან გადახვეწილ თუ ოლქში შემოხიზნულ ლტოლვილთა მასა იმდენად დიდი იყო, რომ 1915 წლის 22 სექტემბერს ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდნენ ქალაქების კავშირის კავკასიის კომიტეტის რწმუნებული ა.ხატისოვი და თბილისის ქალაქის გამგეობის წევრი გ.ჟურული. პირველი თათბირი მოეწყო გენერალ-გუბერნატორ ლიახოვთან, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, იმპერიის სანიტარული და საევაკუაციო ნაწილის უმაღლესი მმართველობის წარმომადგენელი გენერალი ბერნოვი, რუსეთის წითელი ჯვრის მთავარი წარმომადგენელი არმიასთან კამერგერი გოლუბევი. თათბირზე განიხილეს ლტოლვილთა მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები.

ამის შემდეგ ბათუმის სათათბიროს შენობაში გაიმართა „სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის” ბათუმის კომიტეტისა და ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილების ერთობლივი თათბირი. გაირკვა, რომ ომამდე ბათუმის ოლქის 180 ათასი მცხოვრებისაგან, სამხედრო მოქმედებების შედეგად, განითესა 50 ათასამდე კაცი და ოლქში დარჩენილი 130 ათასი სულიდან ბათუმში ცხოვრობდა 35 ათასი. ოლქის დანარჩენი მკვიდრი მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იყო. თათბირის დასასრულს ა.ხატისოვმა ივანე ანდრონიკაშვილს გადასცა 10 ათასი რუბლი ლტოლვილთათვის და განაცხადა, რომ ბათუმის ანგარიშზე ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტის ბანკში გახსნილი იყო 50 ათასი რუბლის კრედიტი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი თანხა ძირითადად მოხმარდა სომეხ და ბერძენ ლტოლვილებს **(სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:370).**

1915 წლის პირველი ნოემბრიდან ბათუმში მუშაობას შეუდგა, აგრეთვე, მთავრობის მიერ შექმნილი ომისაგან დაზარალებულთა დახმარების ბათუმის საოლქო კომიტეტი, რომლის განკარგულებაში იყო ამ მიზნისათვის უმნიშვნელო თანხა – 68,5 ათასი რუბლი, მაგრამ არსებობის 15 თვის მანძილზე მას შესამჩნევი არაფერი გაუკეთებია. ომით დაზარალებულთა და ლტოლვილთა აღრიცხვა დამთავრდა 1916 წ. მარტში. დახმარების სიაში თავდაპირველად შევიდა 27 ათასამდე კაცი, მაგრამ პოლიტიკური მოტივით მასში მხოლოდ 6 ათასი კაცი დატოვეს.

ბათუმის ოლქის სოფლები მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ამარა იყო დარჩენილი. ამას ემატებოდა საომარი მოქმედებებით გლეხური მეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი, სახლ-კარისა და სურსათის გადაწვა–განადგურება, აგრეთვე, გადარჩენილი

სურსათ-სანოვაგისა და გამწევი პირუტყვის რეკვიზიცია. ახალ სამეურნეო წელს ამას დაერთო მოუსავლიანობაც. მართალია, 1916 წლის დასაწყისიდან ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მამრობითი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შეუდგა კიდეც გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მაგრამ გარედან დახმარების გარეშე ცხოვრების ხელახლა მოწყობა რთული იყო. „საშიში სურათია, - წერდა კორესპონდენტი აჭარიდან, - გამხდრები, თმა-წვერ მოშვებულები, ტიტვლები. მათი ნახვა უფრო გულშემზარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ველისა. 1915 წლის 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა ჰაიდარ აბაშიძის წერილი „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, რომელმაც შეიძლება ითქვას გამოაფხიზლა მთელი საქართველო. ამის დასტურია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საპასუხო თანაგრძნობის წერილები. განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა პოეტი მანდილოსნის დომინიკა ერისთავის (განდეგილი) მიმართვა ქართველი ქალებისათვის: „ხმა მივცეთ გულდაკოდილ თანამოძმეებს, - წერდა პოეტი, - ვაცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარი სიყვარულით ექცევა, როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან ქართველს; ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედმამისშვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვეს იგი.

მთელ საქართველოში დიდი სიდუხჭირის მიუხედავად, ქართველობამ გულთან მიიტანა მოძმეთა გასაჭირი და შესაძლო დახმარება გაუწია სამაჰმადიანო საქართველოს მოსახლეობას. გროვდებოდა სურსათი და ტანსაცმელი. ამის შესახებ მ. აბაშიძე მოგვიანებით წერდა: „საქართველოში მოუსავლიანობის გამო მაშინ შიმშილი იყო, მაგრამ საქართველომ თვით მიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი. ყოველი ქართველი დიდი ხალისით მზად იყო დაგვხმარებოდა, რითაც კი შეეძლო, ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან ძმებს უჭირთ, არაფერი დავიშუროთ მათთვისო და მართლაც რომ არაფერს იშურებდნენ, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, –- ყველა მზად იყო დახმარების ხელი გამოეწოდათ ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არ გააჩნდათ რა, ნაწნავებს იკრეჭდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად“.

აჭარისა და ლაზეთის დახმარების ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება. 1916 წელს მოსახლეობას დაურიგდა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათას რუბლამდე ფულად. ლაზეთში მარტო ჰაიდარ აბაშიძემ უხელმძღვანელა 700 ფუთი სიმინდის ჩატანას და განაწილებას. მართალია ეს დახმარება არ იყო საკმარისი, მას უფრო მორალური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ქართული პრესის ძველი კორესპონდენტი ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზეთ „თანამედროვე აზრში„ წერდა: „ვიცით რომ ამ შემწეობით ჩვენ დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი მალამოა, ამასთან ეს დახმარება „არსებითად იყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მაშინ სული მოათქმევინა ხალხს” **(სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:372-373)**

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 131, აღწერა 1, საქმე 201.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 128, აღწერა 1, საქმე 123.

კრებული სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (2008). ტ. III, ბათუმი,

## REFERENCES

sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi, pondi 131, aghts'era 1, sakme 201.

ach'aris tsent'raluri sakhelmts'ipo arkivi, pondi 128, aghts'era 1, sakme 123.

k'rebuli samkhret dasavlet sakartvelos ist'oriis nark'vevebi. (2008). t'. III, batumi,